



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 3
05/12/2017

3-06-4-201712051859



ბრძანება

ნანა თავდუმადის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად მობილობის წესით გადაყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილების და ნ. თავდუმადის 2017 წლის 5 დეკემბრის N5 განცხადების (თანხმობის) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნანა თავდუმადე მობილობის წესით გადაყვანილი იქნეს 2017 წელს გაუქმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის პირველი რანგის თანამდებობიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის (პირველი რანგის) თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1500 (ათას ხუთასი) ლარით;
2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 დეკემბრიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

